
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 18 756,2 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა ექვს თვეში მიიღო 13 714,4 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 73,1 %-ით, გასული 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 506,5 ათასი ლარით ნაკლები (2025 წლის იანვარ-ივნისში მიღებული გვქონდა 19 220,9ათასი ლარი;) (დიაგრ.N1) შემოსულობების კლება გამოწვეულია გადასახადებიდან და გრანტებიდან მიღებული შემოსავლების ნაკლებობით.

დიაგრამა N1



1.გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 11 782,2 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 6 227,0 ათასი ლარი, 52,9%, დაგეგმილზე 5 555,2 ათასი ლარით ნაკლები, რაც მთლიანად გამოწვეულია საქართველოს საწარმოთა ქონებაზე და უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გასულ წელს ჩარიცხული შემოსულობების მიმდინარე წელს უკან დაბრუნებით. რის გამოც ქონების გადასახადი, ექვს თვეში დაგეგმილი 5880,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 657,9 ლარი. ვინაიდან საწარმოთა ქონების მსხვილი გადამხდელებიდან მათ შორის შპს საქართველოს რკინიგზის მიერ უკან არის წაღებული 2 314,7 ათასი ლარი, ხოლო უცხოური კომპანიების - შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფისა და ჩინეთის გზების და ხიდების კორპორაციის მიერ 128,1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადიდან 7 761,6 ათასი ლარი ქონდა მიღებული.

ცხრ. N1(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
გადასახადები სულ	**11 782,2**	**6,227.0**	**52,9**	**-5 555,2**
ქონების გადასახადი	5 880,0	657.9	11,2	-5222,1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5 880,0	779.6	13,3	-5100,4
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	-128.1		-128.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	5,902.2	5,569.1	94.4	-333.057

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 5 902,2 ათასი ლარიდან შემოსულია 5 569,1 ათასი დაგეგმილის 94,4 %-ი,

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტები ექვს თვეში დაგეგმილი 4 767,0 ათასი ლარი ნაცვლად ფაქტიურად მიღებულია 2 115,6 ათასი ლარი, გასული წლის ექვს თვეში 5 650,5 ათასი ლარი იყო მიღებული. აღნიშნული გამოწვეულია, იმით რომ არსებული წესის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსათხოვი თანხები დადასტურებული უნდა იყოს შესრულებული სამუშაოების შუალედური ან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებით. გრანტების გეგმა განსაზღვრულია აღებული ვალდებულებების მიხედვით, ხოლო ფაქტიურად მიღებული გრანტები გაწეული ხარჯების მიხედვით (მიღება-ჩაბარებების გათვალისწინებით)
მათ შორის:
მიზნობრივი ტრანსფერი საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 10,4 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის დაკრძალვის ღონისძიებებზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასწრები ხარჯების ასანაზღაურებლად.
განვლილ ექვს თვეში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებელი მიზნობრივი ტრანსფერი (ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა) მიღებულია 164,8 ათასი ლარი,
მიზნობრივი ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 709,9 ათასი ლარი,
მიზნობრივი ტრანსფერი სკოლების რეაბილიტაციისათვის 68,9 ათასი ლარი.
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი იყო 5 949,0 ათასი ლარის მიღება, მაგრამ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შეუსრულებელი სამუშაოების გამო თანხა სრულად არ იქნა მოთხოვილი და მიღებული იქნა მხოლოდ 1 134,7 ათასი ლარი.
სპეციალური ტრანსფერის სახით ექვს თვეში დაგეგმილი 390,2 ათასი ლარიდან, რომელიც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად არის გამოყოფილი, უამინდობისა და სხვა ხელისშემშლელი მიზეზების გამო მხოლოდ 26,9 ლარი იქნა ათვისებული. ხოლო გასული წლის თებერვლის დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემა ექვს თვეში სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოესწრო, თუმცა ივლისის თვის პირველ რიცხვებში უკვე განხორციელდა პირველი ეტაპის გასაცემი თანხების ჩარიცხვა.

ცხრ. N 2 (ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %
გრანტები	4,767.0	2,115.6	44.4
მიზნობრივ ტრანსფერი საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	10.4	10.4	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	115.7	164.8	142.4
ტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან	689.2	709.9	103.0
დელეგირებით სკოლების რეაბილიტაცია	69.7	68.9	98.9
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3,491.8	1,134.7	32.5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	
სპეციალური ტრანსფერი	390.2	26.9	6.9

3. სხვა შემოსავლების ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 2 202,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 5 371,8 ათასი ლარი, 244%; მათ შორის კომერციული ბანკიდან მიღებული პროცენტების თანხა მიღებულია 309,0 ათასი ლარი; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი მიღებულია 20,1 თასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან72,3 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 3,5 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი 34,8 ათასი ლარი. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან კი შემოსულია 4 898,8 ათასი ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები დაუგეგმავად მიღებულია 33,3 ათასი ლარი.

ცხრ. N 3 (ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %
სხვა შემოსავლები	**2 202,0**	**5,371.8**	**244,0**
პროცენტები	150.0	309.0	206.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	15.0	20.1	134.3
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12.5	72.3	578.6
სანებართვო მოსაკრებელი	2.5	3.5	138.7
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22.0	34.8	158.4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 000,0	4,898.8	753.7
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0.0	33.3	


4. **არაფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი 5,0 ათასი ლარიდან პირველ კვარტალში შემოსულობები არ მიგვიღია.

5. **2026 წლის პირველი იანვრისათვის** მუნიციპალიტეტს ერიცხებოდა 8 1481,6 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, საიდანაც ექვსი თვის განმავლობაში ხარჯების დასაფარავად მიმართულია 4 942,0 ათასი ლარი;

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ მიმდინარე წლის ექვს თვეში 12 982,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 326,9 ათასი ლარი) 70,8 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2 713,0 ათასი ლარით ნაკლებია. 2025 წელს ფაქტიურად გაწეული იქნა 15 695,5 ათასი ლარის ხარჯი. (დიგრ. N2)

დიაგრამა N2



1.მმართველობა და საერთო დანიშნულება (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობის დაფინანსების ხარჯებმა განვლილ ექვს თვეში 2 725,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3 447,5 ათასი ლარი) 79,1 პროცენტია.
აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 732,3 ათასი ლარით; მუნიციპალიტეტის მერია 1 962,7 ათასი ლარით; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 4,1 ათასი ლარით.
მიმდინარე წლის ექვს თვეში სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის დაფინანსებაზე ხარჯები არ გაწეულა.
სასესხო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე გაწეული იქნა 26,6 ათასი ლარი.
აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასესხო ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 532 952 ლარს, აქედან სესხის სახით გადასახდელი იყო 356 455 ლარი. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად იხდიდა ამ გადასახადს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით ყოველწლიურად ორჯერ 28 აპრილს და 28 ოქტომბერს.
დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ ჯამში დაფარულია 548.9 ათასი ლარი, აქედან 356.7 ათ. ლარი სესხის და 192.2 ათ. ლარი პროცენტის სახით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულება სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ -ს მთლიანად დაფარულია.**

სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე გამოყოფილი იქნა 50,8 ათასი ლარი. მათ შორის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინასებაზე - 39,3 ათასი ლარი, აქედან, მკურნალობის ხარჯებისათვის ერთჯერადად გასაცემელის სახით 18,8 ათასი ლარი, აღნიშნული ფორმით სამკურნალო ხარჯებიდან სარეზერვო ფონდით ხარჯების დაფინანსება ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სრულად არის ამოწურული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ლიმიტი, ან მოქალაქე მკურნალობს ისეთ კლინიკაში რომელიც არ არის საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელი.
ერთჯერადი დახმარების ხარჯებში - 9,5 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 11,0 ათასი ლარი;
წარჩინებული, საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის ფულადი საჩუქრის გადასაცემად -4,0 ათასი ლარი;
საქართველოს პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო, მისთვის პატივის მიგების მიზნით გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად-7,5 ათასი ლარი;

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1 971,2 ათასი ლარით, დაგეგმილი 5 244,3 ათასი ლარიდან და შეადგინა 37,6 პროცენტია. მიმდინარე წლის ექვსი თვის ფაქტიური ათვისება ბევრად ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე. სხვაობის მთავარი მიზეზი არის ის რომ 2025 წლის დასაწყისში დაფინანსდა წინა 2024 წელს დასრულებული პროექტები, ასევე მიმდინარე 2026 წლის განმავლობაში იყო არასტაბილური ამინდები, რომელმაც დიდად შეუშალა ხელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.
ინფრასტრუქტურის განვითარებაზე თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებებით:

ცხრ. N 4 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**5,244.3**	**4,157.8**	**1,086.5**	**1,971.2**	**1,207.6**	**763.6**	**37.6**

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4,374.9	3,767.6	607.3	1,534.7	1,174.9	359.9	35.1
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	4,121.186	3,750.1	371.0	1,323.959	1,157.5	166.4	32.1
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	21.363	3.4	18.0	20.875	3.3	17.6	97.7
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	32.4	0.0	32.4	10.629	0.0	10.6	32.8
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	68.640	3.6	65.0	63.381	3.6	59.7	92.3
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	131.3	10.4	120.9	115.898	10.4	105.5	88.3
02 02	წყლის სისტემის განვითარება	133.852	132.4	1.5	32.666	31.9	0.8	24.4
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	105.5	105.5	0.0	5.5	5.5	0.0	5.2
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	28.351	26.9	1.5	27.2	26.4	0.8	95.8
02 03	გარე განათება	337.5	0.0	337.5	279.9	0.0	279.9	82.9
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	300.6	0.0	300.6	243.849	0.0	243.8	81.1
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	36.9	0.0	36.9	36.053	0.0	36.1	97.7
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	107.0	107.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05	კეთილმოწყობა	279.7	150.9	128.9	117.4	0.9	116.5	42.0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	279.733	150.9	128.9	117.375	0.9	116.5	42.0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	11.3	0.0	11.3	6.481	0.0	6.5	57.5

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

1.გზების კაპიტალური შეკეთებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგეგმილი 4 121,2 ათასი ლარიდან ვალდებულებები აღებულია 4 101,5 ათას ლარზე და ფაქტიურად დაიხარჯა 1 324,0 ათასი ლარი, 32,1 პროცენტი. მათ შორის 1 157,5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან და 166,4 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16/01 N 102 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორცი ელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 5 870,8 ათასი ლარიდან მიმდინარე წლის ექვს თვეში დაფინანსდა 1 103,0 ათასი ლარის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, დაფინანსდა შემდეგი პროექტები სოფელ საბეში საუბნო გზის რეაბილიტაცია 198 660 ლარი; სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია 52 141 ლარი; სოფელ მარელისში საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) 14 331 ლარი; ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია 156 025 ლარი; სოფელ ქროლში საუბნო გზის რეაბილიტაცია 61 390 ლარი; სოფელ წიფში საუბნო გზის რეაბილიტაცია 37 074 ლარი; სოფელ წყალაფორეთში გზის რეაბილიტაცია (ეკლეესის უბანი) 30 000 ლარი; სოფელ ბაბში გზის რეაბილიტაცია 24 000 ლარი; სოფელ ნადაბურში გზის რეაბილიტაცია (მე-4 და მე-11 ქუჩა) 66 500 ლარი; სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია (კოშკის უბანი) 123 500 ლარი; სოფელ ხევში გზის რეაბილიტაცია (ძამუკაშვილების უბანი) 95 000 ლარი; სოფელ ვახანში გზის რეაბილიტაცია (ვახანისწყალი) 89

821 ლარი; სოფელ ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ორჯონიკიძეების და მჭედლიძეების უბანი) 40 549 ლარი; სოფელ ვერტყვილაში გზის რეაბილიტაცია (ლურსმანაშვილების უბანი) 114 000 ლარი.
წინა წლების განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთებიდან ექვს თვეში დაიხარჯა 54 ,5 ათასი ლარი.
მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მიმდინარე წლის ექვს თვეში კვარტალში დახარჯულია 166,5 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა გზებზე ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯების ანაზღაურებას, მუნიციპალიტეტის სოფლებში ბაზალეთი, წიფი, ვახანი, ნადაბურში გზების რეაბილიტაციას და დაბაში კიკნაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობას.

2. გზების მოვლა-შენახვა დაგეგმილი 21,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 20,9 ათასი ლარი, ხარჯები ძირითადად გაწეულია სატენდერო მომსახურებაზე, ასევე სახ. ბიუჯეტის ფონდის ფულით ხიდრის სასოფლო გზაზე მოეწყო სანიაღვრე არხი.

3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ხარჯებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურებაზე დაგეგმილი 32,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 10,6 ათასი ლარი.

4. ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსებულია 63,4 ათასი ლარით. მ.შ. საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან 59,7 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდა სოფელ ისლარის ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციას, უბისაში მდინარე კვადოურაზე ხიდის რეაბილიტაციას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან სოფ.ხიდარში მოეწყო ხიდის მოაჯირი.

5. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 120,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 105,5 ათასი ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტი მოძრაობს თხუთმეტი მიმართულებით და მოიცავს თითქმის ყველა სოფელს.

ბ) წყლის სისტემის განვითარება

1. სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 105,5 ათასი ლარიდან წყლის სისტემის მიმდინარე შეკეთებისთვის სხვადასხვა მასალებისა და სასმელი წყლის ავზების შესაძენად სახ. ბიუეტის ფონდებიდან დახარჯულია 5,5 ათაი ლარი, ასევე სოფელ სარგვეშში წყლის სისტემის მოწყობაზე (Iეტაპი) აღებულია 100,0 ათასი ლარის ვალდებულება საქ. მთ. N 102 განკარგულებით გამოყოფილი 410,0 ათასი ლარიდან.
2. კანალიზაციის სისტემის განვითარებაზე (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრის მოწყობა) გათვალისწინებული 28,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 27,2 ათასი ლარი, აქედან 26,4 ათ. ლარი სახ. ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და მოხმარდა დაბაში წერეთლის ქუჩაზე წყალგამტარი/სანიაღვრეს მოწყობის სამუშაოებს, ასევე გაწეული იქნა ჯიხველას არხის გაწმენდის პროექტირების შესაძენი ხარჯი.

გ) გარე განათება)

1. გარე განათების ექსპლუატაციაზე ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ დახარჯულია 243,8 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად 110,5 ათ. ლარი; გარე განათების ქსელის რეაბილიტაციაზე 22,0 ათასი ლარი.

2. გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე გახარჯული 36,1 ლარიდან 1,1 ათასი ლარი მიმართულია ხანდების კლდისა და ამაშუკეთის გზის განათების პროექტირებაზე; 35,0 თასი ლარი კი მოხმარდა სოფ ვარძიაში სასოფლო გზაზე გარე განათების ქსელის მოწყობის დასრულებას, რომელიც 2024 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტით განხორციელდა.

დ) მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია დაგეგმილი 107,0 ათასი ლარიდან ვალდებულება სრულად არის აღებული, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობის N 102 განკარგულებით და განკუთვნილია დაბა ხარაგაულში მრავალბინიანი სახლის ფასადის რეაბილიტაციისათვის ხარჯები არ გაწეულა.

ე) კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 279,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 117,4 ათასი ლარი, აქედან 116,5 საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით, მათ შორის 6, 0ათასი ლარი მიმართულია საპროექტო სამუშაობის დაფინანებაზე (სკვერები მოწყობა, ყოფილი უნივერმაღის შენობის ფასადის სარემონტო სამუშაოებიდა ყოფილი პოლიციის შენობის სახურავის პროექტირება); ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში დასრულდა სოფელ სარგვეშში ვეფხვაძეების უბნის წყაროს მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და პატარა ხარაგაულში არსებული სკვერის რეაბილიტაცია.

ვ) სოფლის მხარდაჭერი პროგრამა დაგეგმილი 11,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 6,5 ათასი ლარი, საიდანაც სოფლის მხარდამჭერი პროგრამით მოწყობილ ობიექტებზე მოხდა ელეტროენერგიის ქსელზე და ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთების ხარჯების დაფინანსება.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 509,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,9 პროცენტია და 2025 წლის ექვსი თვის მჩვენებლებს აღემატება 372,9 ათასი ლარით.
გამოყოფილი სახსრებიდან 1 340,5 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, ხოლო სკვერების და მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა დაფინანსდა 168,9 ათასი ლარით,
ცხრ. N 5 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა	2026 წლის ექვსი თვის შესრულება	გეგმის შესრულების %
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1,889.7**	**1,509.4**	**79.9**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,689.7	1,340.532	79.3
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	191.0	168.895	88.4
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	9.0	0.0	0.0

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2026 წლის ექვსი თვის განმავლობაში დაფინანსდა 3 185,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 3 481,3 ათასი ლარის 91,5 პროცენტია. წინა 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განათლებას 481,9 ათასი ლარით მეტი მოხმარდა.
ცხრ. N 6 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2026 წლის ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
04 00	**განათლება**	**3,481.308**	**1,181.5**	**2,299.8**	**3,185.125**	**1,072.6**	**2,112.6**	**91.5**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,023.9	0.0	2,023.9	1,860.0	0.0	1,860.0	91.9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	29.874	29.9	0.0	5.2	5.2	0.0	17.3
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	837.8	837.8	0.0	822.6	822.6	0.0	98.2
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	321.9	313.9	8.0	248.6	244.8	3.8	77.2
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	100.0		100.0	95.3		95.3	95.3
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	167.9	0.0	167.9	153.5	0.0	153.5	91.4

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე როგრამული კოდი 04 01) დაიხარჯა 1 860,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 21 საბავშვო ბაღისა და 3 სკოლისათვის მზაობის ჯგუფში რეგისტრირებული 410 აღსაზრდელის შესანახად.
ბ) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამით საქ. მთავრობის N 519 განკარგულებით ხევის საბავშვო ბაღის ინვენტარით აღჭურვის მიზნით გამოყოფილი 78,2 ათასი ლარიდან ექვს თვეში აღებული 29,9 ათასი ლარის ვალდებულება დაფინანსდა 5,2 ათასი ლარით.

გ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამაზე დაიხარჯა 822,6 ათასი ლარი პროგრამაში ჩართულია მუნიციპალიტეტში მოქმედი 25 საჯარო სკოლა , სრულდება 328 მიმართულება (წაყვანა-წამოყვანა და შუა დღის მიმართულებები) ემსახურება მიკრო ავტობუსის 80 მძღოლი და სარგებლობს 1600 ბავშვი.
დ) საჯარო სკოლების რეაბილიტაციას მოხმარდა 248,6 ათასი ლარი, ბორითის, ბაზალეთის, ვახანის, ხიდრის, ხევის, ზვარისა და ნადაბურის სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.
გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა, სსიპ ბორის საჯარო სკოლა- (ინტერნატი), სადაც ამჟამად 8 მოსწავლე ათევს ღამეს 95,3 ათასი ლარი დაიხარჯა.
დ) სკოლისგარეშე განათლების პროგრამის სუბსიდირებას ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ მოხმარდა 153,5 ათასი ლარი.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურულ, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებზე სულ ექვს თვეში გაწეული იქნა 1 685,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 106, 6 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 80,0 პროცენტი. 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 208,2 ათასი ლარით მეტი.
აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 527,1 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას 1 076,9 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობას - 30,0 ათასი ლარი, საგამომცემლო საქმიანობას (ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი) – 51,1 ათასი ლარი.

ცხრ. N 7 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2,106.566**	**1,685.072**	**80.0**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	782.775	527.077	67.3
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	14.0	11.026	78.8
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	540.0	370.6	68.6
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	228.8	145.4	63.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,190.6	1,076.917	90.5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,148.9	1,074.022	93.5
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	161.4	152.9	94.7
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	970.7	904.4	93.2
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	16.8	16.7	100.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	9.5	2.9	30.5
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	68.7	51.1	74.3
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით აღჭურვა	32.241	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	55.0	30.0	54.5
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	9.5	0.0	0.0

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 88,3 %-ით (გეგმა 2 157,5 ათასი, ფაქტი 1 906,0 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 157,3 ათასი ლარი, (98,5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 58,9 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით)

ცხრ. N 8 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2026 წლის ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,157.5	215.7	1,941.8	1,906.0	205.0	1,701.1	88.3

პროგრ. კოდი ,	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2026 წლის ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	168.3	103.2	65.1	157.340	98.5	58.9	93.5
06 03	**სოციალური დაცვა**	**1,989.189**	**112.533**	**1,876.656**	**1,748.686**	**106.5**	**1,642.2**	**87.9**
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	378.8	0.0	378.8	314.838	0.0	314.8	83.1
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	49.0	0.0	49.0	44.055	0.0	44.1	89.9
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	659.5	0.0	659.500	658.0	0.0	658.0	99.8
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	37.0	0.0	37.0	23.9	0.0	23.9	64.6
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	41.0	0.0	41.0	26.2	0.0	26.2	63.9
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	12.0	0.0	12.0	10.4	0.0	10.4	86.9
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	30.0	0.0	30.0	25.8	0.0	25.8	85.8
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	42.0	0.0	42.0	39.6	0.0	39.6	94.2
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	4.0	0.0	4.0	4.0	0.0	4.0	100.0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0	100.0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	86.0	0.0	86.0	77.660	0.0	77.7	90.3
06 03 13	სოციალურად დაუცველ და მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	10.0	0.0	10.0	3.6	0.0	3.6	36.0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	20.0	0.0	20.0	7.1	0.0	7.1	35.3
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	16.0	0.0	16.0	10.7	0.0	10.7	66.9
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0.5	0.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	289.928	100.0	189.90	226.070	97.0	129.0	78.0
06 03 18	უფასო სასადილო	182.5	0.0	182.5	166.257	0.0	166.3	91.1
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია,	15.0	0.0	15.0	5.034	0.0	5.0	33.6

პროგრ. კოდი ,	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2026 წლის ექვსი თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- ივნისის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
	ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა							
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	42.0	0.0	42.0	41.7	0.0	41.7	99.3
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	16.0	0.0	16.0	15.5	0.0	15.5	96.6
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	49.5	9.5	40.0	42.442	9.5	32.9	85.7
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	2.5	2.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრ. N 9 (ათას ლარებში)

დასახელება	ბენეფიციარები	შენიშვნა
სოციალური დაცვა	**4695**	
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	640	
შშმ პირთა დახმარება	88	ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ა) 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირები, რომელთაც ესაჭიროებათ მედიკამენტოზური და სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება; ბ) შშმ პირი, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ აქვს სოციალური შემწეობა; გ) აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები
ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2365	ა) ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფულადი ფორმით;
ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	22	პროგრამის მოსარგებლენი არიან ა) ლეიკემიით დაავადებული პირები ბ) დიალიზზე მყოფი პირები
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	59	
მარტოხელა მშობლების დახმარება	28	
მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	49	
ყოველთვიური დახმარება	94	პროგრამის მოსარგებლენი არიან ა) დევნილები ბ) უსინათლოთა კავშირის წევრები
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	4	
ხანდაზმულთა დახმარება	3	
სადღესასწაულო დღეების დახმარება	719	
სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	10	მათ შორის: სოციალურად დაუცველი პირის დაკრძალვა 8, მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი გარდაცვლილის დაკრძალვა -2.
უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარება	18	
ახალშობილთა ოჯახების დახმარება	32	
გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1	
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	138	პროგრამის მოსარგებლეა ა) მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეები ბ) ბინის ქირით უზრუნველყოფილი უსახლკარო ან მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები მოქალაქეები

დასახელება	ბენეფიციარები	შენიშვნა
უფასო სასადილო	279	ა) ყოველდღიური სადილით კვირა დღის გარდა სარგებლობს 160 ბენეფიციარი; ბ) საკვები პროდუქტით დახმარება გაიცა 119 ბენეფიციარზე
სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	0	წითელი ჯვრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება
გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	49	
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	63	
არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	34	
პერსონალური ასისტენტის მომსახურება	0	არ არის რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებელი, ამიტომ ხარჯი არ გაწეულა

სოციალური დაცვის პროგრამებით 2026 წლის ექვს თვეში დაგეგმილი 1989,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 748,7 ათასი ლარი, 93,5%; პროგრამით სულ ისარგებლა 4695 ბენეფიციარმა . გასული 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 379,0 ათასი ლარით მეტი, ხოლო 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 541,3 ათასი ლარით მეტი. მათ შორის:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების ქვეპროგრამით ისარგებლა 640 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 378,8 ათასი ლარიდან ანგარიშსწორება მოხდენილია 314,8 ათას ლარზე. 83,1%;

შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 49,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 44,1 ათასი ლარი - 89,9%, ქვეპროგრამით ისარგებლა 88 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით დაგეგმილი 659,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 658,0 ათასი ლარი - 99,8 %. დაკმაყოფილდა 2365 განცხადება.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ გეგმა განისაზღვრა 37,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 23,9 ათასი ლარი პროგრამაში ჩართულია 22 პირი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების გეგმა განისაზღვრა 41,0 ათასი ლარით, დახარჯულია 26,2 ათასი ლარი. დაკმაყოფილდა 59 განცხადება.

